საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 08/30-09 „10" 05 2017 წ

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის

ბრძანება #8/2017

TEMPUS-ის პროექტი „Reform of Education THru INternational Knowledge exchange" (პროექტის ნომერი 544178-TEMPUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR (2013-5076), პროექტის აკრონიმი RETHINK) ფარგლებში 2017 15 მაისიდან 15 ივლისამდე პერიოდში ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე „ურბანისტიკის" სადოქტორო პროგრამის პილოტირების მიზნით თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტის შერჩევის მიზნით, პროექტის ინსტიტუციური კოორდინატორის იოსებ სალუქვაძის წერილის (#6766/30, 08.05.2017) საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი პროექტის „Reform of Education THru INternational Knowledge exchange" ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე გასაგზავნად „საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტის შესარჩევად;
2. საბუთების მიღების ვადაა 11–15 მაისი;
3. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
   - იყოს „საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის მე-2-5 სემესტრის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელიც კვლევას აკეთებს ურბანულ თემატიკაზე;
   - თავისუფლად ფლობდეს ინგლისურ ენას, რისი ცოდნას შემოწმდება გასაუბრების დროს; სამეცნიერო ენის ცოდნისა და გამოყენების დასტურად, დოქტორანტმა განაცხადის გაკეთებისას სასურველია წარმოადგინოს ენის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (Cambridge, TOEFL, ILTS, TELC). ასეთის არარსებობის შემთხვევაში სააპლიკაციო პაკეტს თან დაურთოს ინგლისურ ენაზე შექმნილი ნაშრომები (მაქს. 3)

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

4. კონკურსის ჩასატარებლად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- გ. გოგსაძე – პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
- რ. ჯორბენაძე – პროფესორი;
- ი. სალუქვაძე – პროფესორი;
- ვ. მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი;
- ნ. პავლიაშვილი – ასოცირებული პროფესორი, კომისიის მდივანი

5. საკონკურსო საბუთები მიიღება საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტში (# 211, მე–4 კორპუსი);
6. საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტმა უზრუნველყოს დაიტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება;
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თ. დოლბაია